



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA



KA060199186460616

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. №6, ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

2417

29 / მარტი / 2016 წ.

„მწვანე ალტერნატივა“-ს აღმასრულებელ
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 16 მარტს შემოსული #04/02-213 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ:

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს პროექტთან დაკავშირებით, მიმდინარეობს სახელმწიფო უწყებებთან აქტიური კონსულტაციები, რომელთა დასრულებისთანავე იგეგმება მისი საჯარო განხილვის მოწყობა და პარლამენტში წარდგენა, რის შესახებ საზოგადოებისთვის დამატებით გახდება ცნობილი.

აქვე გიგზავნით საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს პროექტის მიმდინარე პერიოდისთვის არსებულ რედაქციას და მასთან დაკავშირებით სხვადასხვა უწყებიდან მიღებულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს (დანართი 1--70 გვერდი), რომელთა განხილვის პარალელურად მიმდინარეობდა კოდექსის პროექტის დამუშავება.

კანონპროექტი შენიშვნებითა და კომენტარებით განთავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე.

- რაც შეეხება „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტს, გაცნობებთ, რომ წინასწარი ვერსია გადაგზავნილი იყო სხვადასხვა უწყებაში კომენტარების მოწოდების მიზნით. კანონპროექტი ამჟამად დამუშავების სტადიაშია. პროცესში ჩართულნი არიან ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები, რომლების მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრები. „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტი, მისი გადამუშავებული ვერსიის მომზადებისთანავე (კომენტარებით), ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის, განთავსდება სამინისტროს ვებ-გვერდზე და გაიმართება საჯარო განხილვებიც.

კანონპროექტის საჯარო განხილვების და პარლამენტში წარდგენის თაობაზე ინფორმაციას მოგაწვდით დამატებით.

დანართის სახით გიგზავნით კანონპროექტის წინასწარ ვერსიასთან დაკავშირებით მიღებულ კომენტარებს. (დანართი 2 -- 16 გვერდი)

- ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს ახალი "ტყის კოდექსის" ინიცირება იგეგმება მიმდინარე წლის აპრილში. მომზადების სტადიაზეა დოკუმენტის განმარტებითი ბარათი და ცვლილებების პაკეტი მოქმედ კანონმდებლობაში. საჯარო განხილვა და კანონპროექტის პარლამენტში წარდგენა დაგეგმილია

02-188

მიმდინარე წლის აპრილის თვეში.

აქვე გიგზავნით "ტყის კოდექსის" პროექტზე მოწოდებულ შენიშვნებს.(დანართი 3 - 208 გვერდი).

აქვე მოგახსენებთ, რომ სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ამ დროისთვის განთავსებულია „ტყის კოდექსის“-ს კანონპროექტი კომეტარებით/შენიშვნებით.

დანართი 294 გვერდი.

პატივისცემით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი)



ეკატერინე ბენდელიანი